საერთო შთაბეჭდილება კარგია

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 18 აპრილი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) - 1:1 (0:0).

“სპარტაკი”: ბაუჟა, ლოგოფეტი, ივანოვი, ლოვჩევი, კისელიოვი, აბრამოვი, კალინოვი (გრიგორიევი), ჰუსაინოვი, ოსიანინი, ოლშანსკი (სილაგაძე), ეგოროვიჩი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ებრალიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მაჩაიძე, გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები - 2:1 “დინამოს” სასარგებლოდ.

პირველი, რაც უნდა ითქვას ამ მატჩის სარეცენზიო წერილის დასაწყისში, ისაა, რომ მაყურებლებსაც და სპეციალისტებსაც საერთო შთაბეჭდილება კარგი დარჩათ. თამაში მთლიანად გადასცა ცენტრალურმა ტელევიზიამ და ამაში დაგვერწმუნებიან მრავალრიცხოვანი გულშემატკივრებიც, ხოლო თუ მათ შორის არიან “ურწმუნო თომანი”, ნუ დაავიწყდებათ: სეზონი ახლა მხოლოდ იწყება, ფეხბურთელები ჯერ კიდევ არ შესულან ნამდვილ, საბრძოლო ფორმაში, გუნდები ჯერ გარკვეული ექსპერიმენტებისა და ძიების პროცესში არიან და ამიტომ შეცდომები მატჩის მსვლელობისას ბუნებრივია.

შეხვედრის პირველ 15-20 წუთს მე ერთგვარი სიფრთხილის ტაქტიკას ვუწოდებდი. მართალია, იყო სწრაფი გარღვევები და შორი დარტყმები კუტივაძის, ასათიანის, ხურცილავას, ჰუსაინოვის, ეგოროვიჩის მხრივ, მაგრამ ზედმეტ რისკს ვერ წევდა ვერც ერთი მხარე, შუა მინდორს მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე რომელიმე საჯარიმო მოედანს.

თბილისელებმა უფრო ადრე გაიხსნეს ხელ-ფეხი. მათი საერთო შემტევი გეგის მოთავენი ნახევარმცველები იყვნენ, რომლებიც ძალიან ბევრს, აქტიურად შრომობდნენ თავიანთ ზონაში და სპარტაკელებს ძნელ პრობლემათა წინაშე აყენებდნენ. თუმცა ამ უკანასკნელთ საბოლოოდ ის შველოდა, რომ კუტივაძეც, ასათიანიც, მაჩაიძეც მეტისმეტად ერთობოდნენ ბურთის ტარებით და ვერ ელეოდნენ მას არა მარტო საიერიშო კომბინაციების გათამაშებისას (როცა ერთ შორეულ გადაცემას გაცილებით მეტი სარგებელი ექნებოდა, ვიდრე 15-20 მეტრის გადალახვას ბურთიანად), არამედ წმინდა დაცვითს ოპერაციებშიც, სახიფათო ვითარებაში. იგივე შეიძლება ითქვას დინამოელთა მცველებზე: ისინიც ბურთიანად ამჯობინებდნენ თავის დაღწევას მეტად კრიტიკულ მომენტებში, თუმცა ფეხბურთის კანონი გარკვევით მეტყველებს: ნუ ატარებ ბურთს საკუთარ საჯარიმოზე, ეს ცეცხლთან თამაშია.

საერთოდ, დინამოელები ძალიან ლამაზად, ეფექტურად, მოხდენილად თამაშობენ, მაგრამ ხშირად ივიწყებენ ეკონომიურობის პრინციპს. ნახევარმცველი ან მცველი დრიბლინგის მთელ სერიას ასრულებს იმისთვის, რომ თავდამსხმელს შორიდან მიუტანოს ბურთი, მაშინ, როცა ზუსტ, მოულოდნელ შორ გადაცემას შეუძლია ძალებიც დაზოგოს და ხიფათიც მეტი შექმნას. ალბათ ამიტომაა, რომ “დინამოს” თავდამსხმელები ნაკლებად იხსნებიან და თვითონაც ზომაზე მეტ ხარკს უხდიან დრიბლინგს, ბურთის ტარებას.

ვერც სპარტაკელები ჩანდნენ ამ მხრივ სათანადოდ მომზადებული: ბურთის რაციონალურ გადაცემებს ისინიც ინდივიდუალურ ბრძოლას ამჯობინებდნენ.

შუა ტაიმიდან მოყოლებული, მკვეთრად იმატა სახიფათო მომენტებმა ორივე კართან. ურუშაძემ რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო, მათგან ერთი შეიძლება გოლითაც დამთავრებულიყო, ძელი რომ არ "ჩარეულიყო" საქმეში (ჰუსაინოვის დარტყმა). ტაიმის დასასრულს კი გავაშელს ძოძუაშვილის გადაცემის შემდეგ შეექმნა აშკარა საგოლე მდგომარეობა, რომლის დაკარგვა მიუტევებელია გამოცდილი ბომბარდირისთვის.

კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა თბილისელთა უპირატესობა მეორე ტაიმში. "სპარტაკი" კარგა ხანს იცავდა თავს და საამისოდ დიდი ჯაფის გაწევაც დასჭირდა.

პირველი გოლი ერთობ მოულოდნელი იყო. 64-ე წუთზე სტუმრების მხარეს დაინიშნა საჯარიმო. იგი მოაწოდა ჰუსაინოვმა, თბილისელთა მცველებმა თავიანთ განლაგებაში დაუშვეს ელემენტარული შეცდომა, რომელიც არ ეპატიება არც ერთ მათგანს, და ოსიანინმა სულ ახლოდან უბრალოდ შეაგორა ბურთი ბადეში.

ასეთი მატჩის წაგება დასანანი იქნებოდა, მაგრამ დინამოელებმა იხსნეს ქულა: წუთიც არ იყო გასული ოსიანინის გოლის შემდეგ, რომ ზუსტად ისეთივე საჯარიმო დაინიშნა მასპინძელთა კართან. კუტივაძემ კარგად მიაწოდა ბურთი, გავაშელმა თავით შეუცვალა მას მიმართულება და ბაუჟა უძლური იყო რაიმე მოემოქმედა.

ძველმა მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები და ვიმეორებ, მატჩმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ვ. პავლოვი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
"ლელო", 20 აპრილი, 1971 წ.